

BAG

ინდუქსია

ბიზნეს
კლიმატი



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA



Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich



Research

სარჩევი

BAG ინდექსი	1
BAG ბიზნეს კლიმატი	1
BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით	3
დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით	5
ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები	9
დაფინანსება	12
მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ	13

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, პიემსი კვლევითი ცენტრისა და ifo ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ერთობლივი პროდუქტია. BAG ინდექსი მოიცავს BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების¹ მმართველი მენეჯერების შეფასებას BAG ბიზნეს კლიმატის, BAG დასაქმების ბარომეტრის და BAG საინვესტიციო გარემოს შესახებ. პიემსი კვლევითი ცენტრი BAG ინდექსს აქვეყნებს ყოველკვარტალურად.

BAG ბიზნეს კლიმატი

BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გამოითვლება BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე. კითხვარის მეშვეობით კომპანიები აფასებენ თავიანთ მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს². კომპანიები, ასევე, აფასებენ გაყიდვების, გაყიდვების ფასების და დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებას გასულ და მიმდინარე კვარტლებში და აფიქსირებენ მოლოდინს მომდევნო კვარტლისთვის. დამატებით, კომპანიები ასახელებენ თავიანთი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შეშლელ ფაქტორებს, აფიქსირებენ გაცვლითი კურსის შესახებ არსებულ მოლოდინს, აფასებენ ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და შრომითი რესურსების საჭიროებას. აღნიშნული ინდექსის ფარგლებში, BAG-ის წევრები და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიები ნაწილდება ოთხ სექტორში: ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2021 წლის მეოთხე კვარტლის გამოკითხვა ჩატარდა 2021 წლის 15 ნოემბერი - 1 დეკემბრის პერიოდში.

2021 წლის IV კვარტალში, გამოკითხულმა კომპანიებმა თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი დადებითად შეაფასეს. 2021 წლის IV კვარტალში, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელმა 33.8 ქულა შეადგინა, მათ შორის, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის მაჩვენებელი 18.8, ხოლო ბიზნესის მოლოდინის მაჩვენებელი 49.8 ქულაა.

2021 წლის IV კვარტალში, 2021 წლის III კვარტალთან შედარებით, BAG ბიზნეს კლიმატი 6.8 ქულით გაუმჯობესდა. აღნიშნულ პერიოდში, ასევე, გაუმჯობესდა გამოკითხული კომპანიების მიერ მიმდინარე მდგომარეობის შეფასება (გაიზარდა 8 ქულით) და მომდევნო 6 თვის მოლოდინი (გაიზარდა 5.3 ქულით).


2021 წლის IV კვარტლის შედეგები მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული, 2020 წლის IV კვარტალთან შედარებით, როდესაც BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი -12.8-ს, მიმდინარე მდგომარეობის შეფასება -30-ს, ხოლო მომდევნო 6 თვის მოლოდინის ქულა 6.5-ს შეადგენდა.

გაუმჯობესების მიუხედავად, 2021 წლის IV კვარტალში შედეგები კვლავ ვერ დაუბრუნდა პრეპანდემიურ მდგომარეობას. 2019 წლის IV კვარტალში BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი 40.9-ს, მიმდინარე მდგომარეობის შეფასება 29.6-ს, ხოლო მომდევნო 6 თვის მოლოდინის ქულა 53.1-ს შეადგენდა (იხილეთ გრაფიკი 1).

¹ 2021 წლის I კვარტალში BAG ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ გაიზარდა გამოსაკითხი კომპანიების რაოდენობა: გამოსაკითხ კომპანიათა ბაზას დაემატა BAG-ის წევრების ჯგუფში შემავალი კომპანიები.


² საბალანსო მნიშვნელობა მიმდინარე მდგომარეობისთვის არის სხვაობა „კარგი“ და „ცუდი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის, ხოლო საბალანსო მნიშვნელობა მომდევნო ექვსი თვის მოლოდინისათვის არის სხვაობა „უფრო ხელსაყრელი“ და „ნაკლებად ხელსაყრელი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი წარმოადგენს ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის საბალანსო მნიშვნელობების ტრანსფორმირებულ საშუალოს. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი შესაძლოა იყოს -100-სა და +100-ს შორის. +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს დადებითად, ხოლო -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს უარყოფითად.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის I კვარტლიდან BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი დადებითია და უმჯობესდება. 2021 წლის I და II კვარტლებში აღნიშნულს ძირითადად განაპირობებდა მომდევნო რ თვის ოპტიმისტური მოლოდინი. თუმცა 2021 წლის III კვარტლიდან BAG ბიზნეს კლიმატის დადებით მაჩვენებელს, ოპტიმისტურ მოლოდინთან ერთად, ასევე, განაპირობებს გამოკითხული კომპანიების უმრავლესობის მიერ მიმდინარე მდგომარეობის დადებითი შეფასება.



გრაფიკი 1: BAG ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა

2021 წლის IV კვარტალში, 2021 წლის III კვარტლის მსგავსად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი **ბუმის ფაზაში** იმყოფება.



გრაფიკი 2: BAG ბიზნეს კლიმატი

გრაფიკი 2 საკოორდინატო სიბრტყეზე ასახავს დამოკიდებულებას ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობასა და ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს შორის. თავის მხრივ, საკოორდინატო სიბრტყის მეოთხედები შესაბამისი სახელებით აღინიშნება, კერძოდ, აღმასვლა, ბუმი, დაღმასვლა და რეცესია:

- * თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ უარყოფითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „აღმასვლის“ მეოთხედში.
- * თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „ბუმის“ მეოთხედში.
- * თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ დადებითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „დაღმასვლის“ მეოთხედში.
- * თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „რეცესიის“ მეოთხედში.

BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით


2021 წლის IV კვარტალში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი ყველა სექტორში დადებითია. 2021 წლის IV კვარტალში, 2021 წლის III კვარტალთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესდა მრეწველობის, მშენებლობის და მომსახურების სექტორებში, ხოლო ვაჭრობის სექტორში მცირედით გაუარესდა (იხილეთ გრაფიკი 4).

2021 წლის IV კვარტალში, 2021 წლის III კვარტალთან შედარებით, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის შეფასება თითქმის ყველა სექტორში გაუმჯობესდა, ვაჭრობის სექტორის გარდა. თუმცა გაუარესების მიუხედავად, ვაჭრობის სექტორში გამოკითხული კომპანიები მიმდინარე მდგომარეობას კვლავ დადებითად აფასებენ. რაც შეეხება მშენებლობის სექტორს, აღსანიშნავია, რომ პირველად 2020 წლის III კვარტლის შემდეგ მაჩვენებელი არ არის უარყოფითი და 0-ს უტოლდება. სექტორებს შორის, მიმდინარე მდგომარეობა ყველაზე დადებითად შეფასდა მრეწველობის სექტორის მიერ. შესაძლოა, აღნიშნულს განაპირობებდეს 2021 წლის IV კვარტალში სექტორში გაზრდილი მოთხოვნა (გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობამ (53.3%) დააფიქსირა, რომ მოთხოვნა მათ პროდუქციაზე გაიზარდა).

რაც შეეხება ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს, 2021 წლის IV კვარტალში, ყველა სექტორისთვის მაჩვენებელი დადებითია. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის III კვარტალთან შედარებით, მაჩვენებელი უმნიშვნელოდ არის გაუარესებული მრეწველობის სექტორში, ხოლო მნიშვნელოვნად არის შემცირებული მშენებლობის სექტორში. რაც შეეხება მომსახურების და ვაჭრობის სექტორებს, მაჩვენებელი გაუმჯობესებულია.

ცხრილი 1: საბალანსო მნიშვნელობები სექტორების მიხედვით 2021 წლის IV კვარტალში

	ბიზნეს კლიმატი	ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა	ბიზნესის მოლოდინი
ვაჭრობის სექტორი	41.5	20.0	65.0
მომსახურების სექტორი	31.5	13.3	51.1
მრეწველობის სექტორი	43.3	46.7	40.0
მშენებლობის სექტორი	6.2	0.0	12.5
ყველა სექტორი	33.8	18.8	49.8




გრაფიკი 3: ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით 2021 წლის III და IV კვარტლებში

2021 წლის განმავლობაში ვაჭრობის, მრეწველობის და მომსახურების სექტორებში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი ოთხივე კვარტალში დადებითია. ასევე, აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ოთხივე კვარტალში, ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი ამ სამივე სექტორში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, უმჯობესდებოდა. მშენებლობის სექტორში 2021 წლის I და II კვარტალში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი უარყოფითი იყო, თუმცა 2021 წლის III და IV კვარტლებში მაჩვენებელი დადებითია და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, უმჯობესდება.

ვაჭრობის სექტორში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი 2021 წლის I-დან III კვარტალამდე უმჯობესდებოდა, ხოლო IV კვარტალში უმნიშვნელოდ გაუარესდა (1.5 ქულით). ბიზნეს კლიმატის დადებით მაჩვენებელს განაპირობებს სექტორში არსებული პოზიტიური მოლოდინი და 2021 წლის ბოლო სამ კვარტალში მიმდინარე მდგომარეობის დადებითი შეფასება. აღსანიშნავია, რომ ვაჭრობის სექტორი ერთადერთია, სადაც ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი 2021 წლის IV კვარტალში, პრეპანდემიურ პერიოდთან (2019 წლის IV კვარტალი) შედარებით, გაუმჯობესებულია (1.8 ქულით).

2021 წლის განმავლობაში, მომსახურების და მრეწველობის სექტორში ბიზნეს კლიმატის დადებით შეფასებას ძირითადად განაპირობებს როგორც ოპტიმისტური მოლოდინის არსებობა, ასევე, მიმდინარე მდგომარეობის პოზიტიური შეფასება.

მშენებლობის სექტორში, 2021 I კვარტალში ბიზნეს კლიმატის უარყოფით შეფასებას ძირითადად განაპირობებდა მიმდინარე მდგომარეობის უარყოფითი შეფასება, ხოლო II კვარტალში როგორც მიმდინარე მდგომარეობის უარყოფითი შეფასება, ასევე, პესიმისტური მოლოდინი. რაც შეეხება 2021 III და IV კვარტლებს, ბიზნეს კლიმატის დადებით მაჩვენებელს განაპირობებს ოპტიმისტური მოლოდინი და ასევე, მიმდინარე მდგომარეობის გაუმჯობესებული მაჩვენებელი წინა კვარტლებთან შედარებით (იხილეთ გრაფიკი 4).



გრაფიკი 4: ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით დასაქმება

2021 წლის III კვარტლის შეფასება


- 2021 წლის III კვარტალში, 2021 წლის II კვარტალთან შედარებით, გამოკითხული კომპანიების 30.3%-მა გაზარდა დასაქმებულთა რაოდენობა. გამოკითხულ კომპანიათა უმეტესობაში (66%) დასაქმებულთა რაოდენობა არ შეცვლილა, ხოლო 3.7%-ისთვის შემცირდა.
- 2021 წლის III კვარტალში, სექტორებს შორის, მრეწველობის სექტორში გამოკითხული კომპანიების ყველაზე დიდი წილი (40%) ამბობს, რომ დასაქმებულთა რაოდენობა გაზარდა (იხილეთ გრაფიკი 5). აღნიშნული შესაძლოა, უკავშირდებოდეს გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობაში მოთხოვნის ზრდას (კომპანიათა 53.3%-მა დააფიქსირა 2021 წლის III კვარტალში მათ პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა).

2021 წლის IV კვარტლის შეფასება

- გამოკითხულ კომპანიათა 21.3% აცხადებს, რომ 2021 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, მათთან დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება, ხოლო კომპანიათა 3.7%-ში მცირდება. კომპანიათა უმეტესობის (75%) განცხადებით, დასაქმებულთა რაოდენობა არ იცვლება.
- მშენებლობისა და მრეწველობის სექტორებში, სხვა სექტორებთან შედარებით, გამოკითხულ კომპანიათა მნიშვნელოვანი წილი ამბობს, რომ 2021 წლის IV კვარტალში, 2021 წლის III კვარტალთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება. აღნიშნულს შესაძლოა, განაპირობებდეს 2021 წლის IV კვარტალში ორივე სექტორში მზარდი გაყიდვები.

2022 წლის I კვარტლის მოლოდინი

- * გამოკითხული კომპანიების 25% თვლის, რომ 2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, დაქირავებულთა რაოდენობას გაზრდის, მხოლოდ 3.7% – ვარაუდობს კლებას. კომპანიათა უმეტესობა (71.3%) არ აპირებს დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებას.
- * ყველაზე პოზიტიური მოლოდინი, დასაქმების მიმართულებით, მშენებლობის სექტორში ფიქსირდება, სადაც 2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას კომპანიათა 50% ვარაუდობს. აღნიშნულს, სავარაუდოდ, განაპირობებს სექტორში არსებული პოზიტიური მოლოდინი გაყიდვების ზრდასთან დაკავშირებით.
- * ვაჭრობის, მრეწველობის და მომსახურების სექტორებში გამოკითხული კომპანიების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ 2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა არ შეიცვლება (70%, 78.6%, 75.6%, შესაბამისად).



გრაფიკი 5: დასაქმებულთა რაოდენობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში³

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ მშენებლობის სექტორში 2021 წლის I კვარტლიდან პოზიტიური დინამიკა შეინიშნება დასაქმებასთან მიმართებით. თუ 2021 წლის I კვარტალში მშენებლობის სექტორში გამოკითხულ კომპანიათა მხოლოდ 13%-მა დააფიქსირა დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა, აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლის IV კვარტალში 50%-ს უტოლდება და ასევე, მოსალოდნელია, რომ 2022 წლის I კვარტალშიც კომპანიათა 50% გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობას.

მრეწველობის და მომსახურების სექტორშიც, მსგავსად მშენებლობისა, 2021 წლის I კვარტლიდან იზრდებოდა იმ კომპანიათა წილი, რომლებიც აფიქსირებდნენ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, თუმცა 2021 წლის IV კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი, შესაბამისად, 7 და 25 პროცენტული პუნქტით შემცირდა. რაც შეეხება 2022 წლის I კვარტალს, მოსალოდნელია, რომ მრეწველობის სექტორში კიდევ უფრო ნაკლები კომპანია გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობას.

ვაჭრობის სექტორში იმ კომპანიების წილი, რომლებიც 2021 წლის განმავლობაში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას აფიქსირებდნენ, შედარებით სტაბილური იყო, განსხვავებით სხვა სექტორებისა (2021 წლის II-IV კვარტლის პერიოდში, კომპანიათა 20%-24% აფიქსირებდა დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას).

³ დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.
* წინასწარი შეფასება.

გაყიდვები/მოთხოვნა/ადგილობრივი წარმოება

2021 წლის III კვარტლის შეფასება


- * მომსახურების, ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორებში გამოკითხულ კომპანიათა ნახევარზე მეტი ამბობს, რომ მათი გაყიდვები 2021 წლის III კვარტალში, II კვარტალთან შედარებით, გაიზარდა.
- * 2021 წლის III კვარტალში, გაყიდვების მხრივ არსებული მდგომარეობა, ყველაზე ცუდად მშენებლობის სექტორში შეფასდა, სადაც გამოკითხული კომპანიების 25%-ისთვის, II კვარტალთან შედარებით, კომპანიის სამშენებლო კონტრაქტები/წინასწარი გაყიდვები შემცირდა (იხილეთ გრაფიკი 6).

2021 წლის IV კვარტლის შეფასება

- * 2021 წლის IV კვარტალში, გაყიდვების მიმართულებით არსებული მდგომარეობა ყველაზე კარგად მრეწველობის სექტორში შეფასდა, სადაც გამოკითხულ კომპანიათა 53.3% ამბობს, რომ მათი გაყიდვები, წინა კვარტალთან შედარებით, გაიზარდა.
- * 2021 წლის IV კვარტალში, გაყიდვების მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობა მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა, სადაც გამოკითხულთა 37.5% აცხადებს, რომ მათი გაყიდვები, წინა კვარტალთან შედარებით, შემცირდა.

2022 წლის I კვარტლის მოლოდინი

- * 2022 წლის I კვარტალში ყველაზე პოზიტიური მოლოდინი გაყიდვებთან დაკავშირებით, მშენებლობის სექტორში ფიქსირდება, სადაც გამოკითხულ კომპანიათა 50% აცხადებს, რომ გაყიდვების ზრდას მოელის.
- * სექტორებს შორის, ყველაზე დიდი წილი იმ კომპანიებისა, რომლებიც გაყიდვების კლებას პროგნოზირებს ვაჭრობის სექტორშია (35%).



გრაფიკი 6: გაყიდვები, ადგილობრივი წარმოება და მოთხოვნა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ 2021 წლის I კვარტალი - IV კვარტლის პერიოდში, სექტორებს შორის, გაყიდვებთან მიმართებით, ყველაზე დადებითი ტენდენცია ვაჭრობისა და მომსახურების სექტორებში შეიმჩნევა, სადაც ყოველკვარტალურად კომპანიათა უმრავლესობაში გაყიდვების რაოდენობა იზრდება. აღსანიშნავია, რომ, ასევე, მრეწველობის სექტორშიც 2021

წლის II კვარტლიდან კომპანიათა უმრავლესობაში გაყიდვების რაოდენობის ზრდა ფიქსირდება. სხვა სექტორებთან შედარებით, მშენებლობის სექტორში, 2021 წლის განმავლობაში, კომპანიების ყველაზე ნაკლები წილი აფიქსირებდა გაყიდვების რაოდენობის ზრდას.

გაყიდვების ფასები

2021 წლის III კვარტლის შეფასება


- გამოკითხული კომპანიების დიდმა ნაწილმა (57.4%) განაცხადა, რომ 2021 წლის III კვარტალში, II კვარტალთან შედარებით, ფასები არ შეცვალა, ხოლო 38%-მა ფასები გაზარდა. კომპანიების 4.6% კი აცხადებს, რომ აღნიშნულ პერიოდში ფასები შემცირდა.
- სექტორალურ ჯრილში, ოთხივე სექტორში გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობის განცხადებით, 2021 წლის III კვარტალში, 2021 წლის II კვარტალთან შედარებით, ფასები არ შეცვლილა.

2021 წლის IV კვარტლის შეფასება

- გამოკითხული კომპანიების 31.2% აცხადებს, რომ 2021 წლის IV კვარტალში, 2021 წლის III კვარტალთან შედარებით, გაყიდვების ფასები იზრდება. 62.4%-ის განცხადებით, გაყიდვების ფასები არ იცვლება, ხოლო 6.4%-ისთვის მცირდება.
- ფასების ზრდა ყველაზე მეტად დაფიქსირდა მრეწველობისა და ვაჭრობის სექტორებში, სადაც გამოკითხულთა 46.7%-მა და 42.5%-მა განაცხადა, რომ გაყიდვების ფასები, 2021 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, გაიზარდა.

2022 წლის I კვარტლის მოლოდინი

- გამოკითხულ კომპანიათა 32.7% ვარაუდობს გაყიდვების ფასების ზრდას, 2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, მაშინ როცა 67.3% არ ელოდება ამ მაჩვენებლის ცვლილებას. აღსანიშნავია, რომ არც ერთ გამოკითხულ კომპანიას არ აქვს მოლოდინი, რომ ფასები დაიკლებს.
- სექტორებს შორის, მშენებლობის სექტორში პროცენტულად ყველაზე მეტი კომპანია (50%) მოელის ფასების ზრდას, 2022 წლის I კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით.




გრაფიკი 7: გაყიდვების ფასები ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ 2021 წლის განმავლობაში, ოთხივე სექტორში, კომპანიათა უმრავლესობისთვის გაყიდვების ფასები არ იცვლებოდა. თუმცა, ამავდროულად, 2021 წლის I კვარტლიდან, ოთხივე სექტორში, კომპანიათა არც თუ ისე მცირე ნაწილი, ზოგჯერ 40%-მე მეტიც კი, აფიქსირებდა ფასების ზრდას. მოცემულ პერიოდში, სექტორებს შორის, პროცენტულად ყველაზე მეტი კომპანია, რომელიც ფასების ზრდას აფიქსირებდა მრეწველობისა და ვაჭრობის სექტორებში იყო.

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები

2021 წლის IV კვარტალში, 2021 წლის III კვარტალთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა იმ კომპანიების წილი (19 პროცენტული პუნქტით), რომლებიც თვლიან, რომ მათი ბიზნესსაქმიანობისთვის არსებობს ხელის შემშლელი ფაქტორები. აღსანიშნავია, რომ ასევე, 2021 წლის IV კვარტალში, პრეპანდემიურ პერიოდთან შედარებით, ასეთი კომპანიების წილი 13 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული.



გრაფიკი 8: ბიზნესისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების არსებობა

2021 წლის IV კვარტალში, ბიზნესსაქმიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ხუთი ფაქტორია: ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა⁴, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები, სპეციალისტების ნაკლებობა, სამუშაო ძალის ნაკლებობა და პროდუქციასა თუ მომსახურებაზე მოთხოვნის სიმცირე (იხილეთ გრაფიკი 9).


აღსანიშნავია, რომ 2021 წლის III და IV კვარტლებში, ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან ხელის შემშლელ ფაქტორს შორის შეზღუდული ფინანსური რესურსები აღარ დაფიქსირდა, მაშინ როცა აღნიშნული ფაქტორი წინა კვარტლებში ყოველთვის ფიქსირდებოდა ყველაზე მნიშვნელოვან ხელის შემშლელ ფაქტორებს შორის.

მოცემულ კვარტალში, მსგავსად წინა ორი კვარტლისა, პრობლემათა შორის პირველი ადგილი ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობამ დაიკავა (აღნიშნულ პრობლემას კომპანიათა 65% ასახელებს ხელის შემშლელად). სექტორების მიხედვით, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორის კომპანიებისთვის (85.7%) წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს. აღნიშნული ფაქტორი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელად დაასახელა ვაჭრობის სექტორის 71.4%-მა, მომსახურების სექტორის 60%-მა და მრეწველობის სექტორის 42.9%-მა.

ხელის შემშლელ ფაქტორებს შორის, წინა კვარტალთან შედარებით, ყველაზე მეტად მოთხოვნის სიმცირისა (17 პროცენტული პუნქტით) და შეზღუდული ფინანსური რესურსების (12 პროცენტული პუნქტით) პრობლემა შემსუბუქდა. ხოლო ყველაზე მეტად სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერების (5 პროცენტული პუნქტით) პრობლემა გამძაფრდა.

⁴ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, არსებულ კითხვარს 2021 წლის II კვარტალში დაემატა.







აღსანიშნავია, რომ 2021 წლის II კვარტლიდან მცირდება იმ კომპანიების პროცენტული წილი, რომლებიც ხელის შემშლელ ფაქტორად მოთხოვნის სიმცირეს და შეზღუდულ ფინანსურ რესურსებს ასახელებენ. ამავდროულად, ამავე პერიოდში, კომპანიების წილი, რომლებსაც სპეციალისტების ნაკლებობაა ხელის შემშლელი ფაქტორი, სტაბილურია. რაც შეეხება სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს, კომპანიათა პროცენტული წილი, რომელიც ამ ფაქტორს ასახელებდა ხელის შემშლელად, 2021 წლის I-III კვარტლების პერიოდში მცირდებოდა, თუმცა 2021 წლის IV კვარტალში კვლავ გაიზარდა (იხილეთ გრაფიკი 10).



გრაფიკი 9: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის 2021 წლის IV კვარტალში

2021 წლის IV კვარტალში, გამოკითხულთა უმეტესობამ, წინა კვარტლის მსგავსად, მარეგულირებელი გარემო დაასახელეს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად, რის გამოც სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები ხელს უშლის მათ ბიზნესსაქმიანობას. მეორე ადგილს სასამართლო სისტემა იკავებს. აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალთან შედარებით, შემცირებულია იმ კომპანიათა წილი, რომელიც COVID-19-ით გამოწვეულ შეზღუდვებს ასახელებდა ხელის შემშლელად (5 პროცენტული პუნქტით), ხოლო ყველაზე მეტად გაზარდილია იმ კომპანიათა წილი, რომლებიც სასამართლო სისტემას ასახელებდა ხელის შემშლელად (16 პროცენტული პუნქტით).

**ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შეშლელი ძირითადი ფაქტორები
IV კვ. 2019 - IV კვ. 2021**




გრაფიკი 10: ძირითადი ხელის შეშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის

⁵ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთ-ერთი ხელის შეშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, არსებულ კითხვარს 2021 წლის II კვარტალში დაემატა.


დაფინანსება

2021 წლის IV კვარტალში, დაფინანსების მოძიება სცადა გამოკითხულ კომპანიათა 45%-მა, რაც წინა კვარტალთან შედარებით შემცირებული მაჩვენებელია (7 პროცენტული პუნქტით).

2021 წლის IV კვარტალში, მათგან, ვინც ბოლო პერიოდში დაფინანსების მოძიება სცადა, მხოლოდ 16% აცხადებს, რომ ფინანსებზე წვდომა პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით მნიშვნელოვნად არის შემცირებული (22 პროცენტული პუნქტით).



გრაფიკი 11: დაფინანსების მოძიება




გრაფიკი 12: ფინანსებზე წვდომა⁶

რაც შეეხება ბიზნესის დაფინანსების წყაროებს⁷, 2021 წლის IV კვარტალში, წინა პერიოდების მსგავსად, კომპანიათა უმეტესობის განცხადებით, ისინი ფინანსდებიან ადგილობრივი წყაროებიდან.

⁶ კითხვას პასუხი გასცა გამოკითხულთა მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში სცადა ფინანსების მოძიება.


⁷ 2021 წლის I კვარტალში ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელებულმა ცვლილებამ (გამოსაკითხი კომპანიების ბაზის გაზრდამ) გავლენა იქონია ბიზნესის დაფინანსების წყაროების სტრუქტურაზე. სხვა მაჩვენებელზე მეთოდოლოგიურ ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია.




გრაფიკი 13: დაფინანსების წყაროები

მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ

2021 წლის IV კვარტალში, III კვარტალთან შედარებით, შემცირდა იმ კომპანიების წილი (8 პროცენტული პუნქტით), რომლებსაც მომდევნო 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინი აქვთ. ამასთან, წინა კვარტალთან შედარებით, 2021 წლის IV კვარტალში, 10 პროცენტული პუნქტით გაიზარდა იმ კომპანიების წილი, რომლებიც ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებას მომდევნო 6 თვეში არ ელიან.



გრაფიკი 14: ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილების მოლოდინი



კონტაქტი:

ლეონიძის ქ.2, თბილისი, საქართველო

☎ +995 32 2 202-215

✉ info@bag.ge

f Business Association of Georgia

www.bag.ge